

საქართველოს გახეობის
დაქვისა და სოფლის
მურეშობის სამინისტროს
პრინციპს პ.გ.ონ:
დეკანოზი დავითიძის
დეკანოზი პაიდიძის
პ/ნ 01011061840
მ/ბ: თბილისი, დეკ. ვახტანგის
N 8. პ. 1017
ტელ: 595 435565

გ ა ნ ც ნ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ დეკანოზი პაიდიძის საყახებში
ახის პრინციპს ნუსაი 38, 8 პა ვახტანგის
ს/ნ 56.11.57.001 სოფლის საიონი, სოფელი
ჩვეთი ძალარო, მდინარე ივრის ტერიტორია ადნობელი
ტერიტორია ახ იხევა, იმისათვის რომ გაიშალოს
პოსტალიონში აქედან მუყარო იქნას სხევა
ნალო, ამ პრინციპს ქანსახელებლად მუქობდელი
ვარიატი ახის მდინარედან სხევა ნალოს
ამოცემბვა. საქართველოს ვახტანგის "ქანსახელებლი მუქობდელი
ვაოდექის" მ-7 მუქობდელი მ-6 ნახლის ვარგერაიქებს
ვაოდექის ნახობდელი მუქობდელი იქნა სეხინინგის ანგარიში,
რომლისაქ ნახობდელი ქანსახელებლად და
სეხინინგის დასვენის ვახტანგის.

დანიხი: სსსოფლო-სამეურნეო ობიექტის სეხინინგის
ანგარიში

ნახევა ნახობდელი:

დეკანოზი პაიდიძის

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს მინისტრ

ბატონ: ლევან დავითაშვილს

ლეილა ბაიდოშვილის კ/ნ01011061840

მცხ:თბილისი,ლევ.კაჩინსკის N8, ბ N17

ტელ: 595435565

განცხადება

მოგახსენებთ,რომ ლეილა ბაიდოშვილის საკუთრებაში არის მიწის ნაკვეთი 38,8 ჰა ფართობით, ს/კ 56.11.57.001 სიღნაღის რაიონი, სოფელი ქვემო მაღარო,მდინარე ივრის ტერიტორია. აღნიშნული ტერიტორია არ ირწყვება,იმისთვის რომ გაიზარდოს მოსავლიანობა აუცილებელია მოყვანილ იქნას სარწყავი წყალი, ამ მიზნის განსახორციელებლად ოპტიმალური ვარიანტი არის მდინარიდან სარწყავი წყლის ამოტუმბვა. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის კრიტერიუმების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა სკრინინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკრინინგის დასკვნის გასაცემად.

დანართი: სასოფლო-სამეურნეო ობიექტის სკრინინგის ანგარიში

პატივისცემით:

ლეილა ბაიდოშვილი

07/04/2021 წ.

საქმიანობის განმახორციელებელი :	ლეილა ბაიდოშვილი ინდ.მეწარმე /ფერმერი
მისამართი:	ლეს.კაჩინსკის N8, ბინა N17.
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი:	სიღნაღის რაიონი, სოფ.ქვემო მაღარო
საიდენტიფიკაციო კოდი :	ს/კ 56.11.57.001
მიწის ფართობი :	38.8 ჰა
სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მოთხოვნა :	22 ჰა
საქმიანობის სახეები :	მევენახეობა (ახალშენი ვენახი), მარცვლოვანი კულტურის მოყვანა (ქერი)
ელექტრონული ფოსტა	jikiaeter@gmail.com
საკონტაქტო ტელეფონი	595435565
ალტერნატიული ტელეფონი	592062631

შესავალი

ინდ. მეწარმე ლეილა ბაიდოშვილის 3/ნ 01011061840 საკუთრებაშია სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაღაროში მდებარე მიწის ნაკვეთი ფართობით 38,83ა, საკადასტრო კოდი 56.11.57.001. ახალშენი ვენახის ჯიპიეს კორდინანტები: 41°30'44" N 45°38'20"E . მარცვლოვანი კულტურის კერძოდ ქერის ჯიპიეს კორდინანტები: 41°30'49" N 45°38'21"E. წყალ აღების მიახლოებითი კორდინანტები: 41°31'19" N 45°38'23"E. ლეილა ბაიდოშვილი აწარმოებს სასოფლო სამეურნეო საქმიანობას. პროექტის მიზანს წარმოადგენს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო მაღაროში მდებარე 38.8 ჰა (სარწყავი წყლით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს 22ჰა მიწის ნაკვეთის) მიწის ფართობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფა, რისთვისაც საჭიროა მდინარე ივრიდან წყლის დატუმბვა და ამ წყლის გამოყენება მოსარწყავად. მოწობილი გვაქვს ერთი 4000 მ³ -ნი, ლითონის რეზერვუარი რომელიც მოვათავსეთ წლის საწყისი წერტილიდან 175,693 მეტრში. აღნიშნული რეზერვუარის გადაადგილება შესაძლებელია ტრაქტორით ან მანქანით, ანუ რეზერვუარი მოძრავია ბორბლებზე დგას. რაც არ წამოშობს, ხმაურს და ახლომდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები პირების შეწუხებას. გასარწყავებას საჭიროებს (კერძოდ ვენახი , რომელიც იქნება ახალშენი და მისი ფართობი იქნება 5 ჰა „საფერავის ჯიშის ყურძენი“, ასევე მარცვლოვანი კულტურა ქერი, რომლის ფართობი იქნება 17 ჰა) აღნიშნულის განსახორციელებლად ოპტიმალური მარშრუტი არსებობს, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია მდინარეში მოვათავსოთ ამოსატუმბი, მდინარე იორის ერთი ტოტი შემოჭრილია ჩვენს მიწის ნაკვეთზე, რომელიც ივრის ადკვეთლის ტერიტორიაში შეჭრილი, მაგრამ არის ჩვენი საკუთრება, რომლის საკადასტრო რუკა წარმოდგენილია ქვემოთ.ამ ამოსატუმბი მოწყობილებიდან ამოიტუმბება წყალი, ხოლო ამოტუმბული წყალი მოთავსდება რეზერვუარში და შემდგომ გადანაწილდება 22 ჰაზე. კერძოდ 5 ახალშენზე, რომელიც ვენახია, ხოლო 17 ჰა კი ქერზე. რაც გულისხმობს სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე მინიმალური ზემოქმედების გავლენას. დღესდღეობით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ქვეყანაში ერთერთი პრიორიტეტი დარგია სოფლის მეურნეობა, კერძოდ მევენახეობა, მემცენარეობა, რომლის განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, მათ შორის სამელიორაციო სისტემა. საპროექტო სამელიორაციო სისტემის მიზანია შევავსოთ სარწყავი წყლის დანაკლისი, როგორც იცით კახეთში წყლის პრობლემა ყოველთვის იყო და არის, რადგან ნაკლები ნალექის გამო წვიმა იშვიათად მოდის ხოლო მდინარის წყალს კი სპეციალური ნებართვის გარეშე ვერ გამოვიყენებთ. მორწყვის მიზანია ვაზის გაძლიერება, მოსავლიანობის ზრდა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. დასავლეთ საქართველოში, სადაც საკმაო რაოდენობით ნალექი მოდის, ვაზის კულტურა არ განიცდის ტენის ნაკლებობას და მორწყვასაც არ საჭიროებს.

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში, ვაზი და მცენარეები (ქერი, ხორბალი, სიმინდი) მორწყვის გარეშე მოსავალს ან არ იძლევა, ან მოსავალი უხარისხოა. ამიტომ საჭიროა წყლის მოწოდება, რომ სრულად გავასარწყაოთ 22 ჰა ტერიტორია, რომელიც ამჟამად საერთოდ არ ირწყვება. რწყვის რამდენიმე წესიდან ჩვენ გამოვიყენებთ (წვეთოვან მორწყვას კერძოდ ახალშენი ვენახისთვის) და (კვალში მიშვებით მორწყვას - ქერის მოსარწყავად.)

მორწყვის პროცედურის აღწერა

თანამედროვე სარწყავ სისტემებს შორის წვეთოვანი მორწყვა ყველაზე რაციონალურია. ვაზის ძირებზე ან შტამბის სიმაღლეზე (პირველი მავთულის გასწვრივ) ეწყობა პლასტმასის გარკვეული დიამეტრის მილები, რომელთაც აქვთ ყოველ ვაზის ბუჩქთან საწვეთურები. წყლის მიწოდება რეგულირდება საწვეთურიდან დაწვეთების ინტენსივობის ზრდით.

ამ წესის უპირატესობა მდგომარეობს დატენიანების უწყვეტობაში, წყლის ეკონომიურ ხარჯვასა და სრულ ავტომატიზაციაში. სისტემის გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია წყლის სისუფთავე. რწყვის რამდენიმე წესიდან ჩვენ გამოვიყენებთ წვეთოვან მორწყვას. მორწყვის საორიენტაციო ჯერადობა დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, ნიადაგის ტენიანობაზე ნაყოფის განვითარების ფაზების გათვალისწინებით, ვენახი უნდა მოირწყოს წვეთოვანი მორწყვით საშუალოდ: 16-20 ჯერ სეზონის განმავლობაში, ეს თვეებია: (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი). რწყვის ნორმები, ვადები და რწყვის ჯერადობა დამოკიდებულია ნიადაგსა და კლიმატზე, ვაზის ჯიშსა და სიმწიფის დროზე. ვენახში ნიადაგის მორწყვა უნდა დაიწყოს მაისში, როდესაც ფესვთა სისტემის განვითარების ძირითად ფენაში ტენის საშუალო შემცველობა შემცირდება მცენარეში წყლის შეთვისების ზღვრამდე (კაპილარებში წყლის კავშირის შეწყვეტამდე) და უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ აღნიშნულ ფენაში წყლის შემცველობა არ მიაღწევს საველე, ზღვრულ სტანდარტებს. წყლის რეგულირებისთვის აუცილებლად უნდა განისაზღვროს აქტიური ფენის საველე ზღვრული ტენტევადობა., ე.ი. მორწყვის ზედა ზღვარი. მორწყვის ქვედა ზღვარი (მორწყვის დაწყების მომენტამდე) საველე ზღვრული ტენტევადობის 80%-ს შეადგენს. ერთი და იმავე ტიპის ნიადაგში საველე ზღვრული ტენტევადობა და ვენახში წყლის შესვლის შენელების ზღვარი მექანიკური შემადგენლობისა და მათში ჰუმუსის შემცველობის მიხედვით იცვლება. 5 ჰაზე გაშენებულია 10725 ძირი ვაზი, ერთი ძირი საჭიროებს 2,5 ლიტრ წყალს, წლის მანძილზე ვაზი უნდა მოირწყას 5 თვის განმავლობაში თვეში 4-ჯერ. წვეთოვანი მორწყვით ანუ ერთი ძირი ვაზი ერთ თვეში საჭიროებს 10 ლიტრ წყალს, მაშასადამე 10725 ძირი ვაზი ერთი თვის განმავლობაში საჭიროებს 107,250 ლიტრ წყალს ანუ 10,7 ტონა წყალს. მაშასადამე 5 თვის განმავლობაში 10725 ძირი ვაზი საჭიროებს 53.6 ტონა წყალს.


ქერის მოსარწყავად.
კვალში მიშვებით მორწყვა გამოიყენება, ანუ კვალში რწყვის დროს მინიმუმამდღეა დაყვანილი ენერგეტიკული დანახარჯები და შემცირებულია წყლის ფიზიკური აორთქლება. ქერი წყლისადმი ყველაზე მომთხოვნია თესლის გაღივების, ბარტყობის და ტანის აყრის ფაზებში. მისი მორწყვის ჯერადობა და ნორმები დამოკიდებულია ნიადაგის ტენიანობის მაჩვენებელსა და მცენარის განვითარების ცალკეულ ფაზებზე. ზოგადად, ვეგეტაციის განმავლობაში ქერი საშუალოდ 2-ჯერ უნდა მოირწყას. მაგრამ ჩვენი მოთხოვნაა ქერის მორწყვა ერთი თვის განმავლობაში, კერძოდ მაისის თვეში. მორწყვის ერთიანი, ანუ სეზონის განმავლობაში დასახარჯი წყლის საორიენტაციო რაოდენობა ერთ ჰა-ზე არის 1000-1800 კუბ./მ. ქერის მორწყვის თვეებია მაისი, ივნისი. 13ა ქერის მოსარწყავად ერთი თვის მანძილზე საჭიროა 1.5 ტონა წყალი ანუ 17 ჰა-ზე საჭიროა 25.5 ტონა წყალი. ქერი უნდა მოირწყას თვეში ერთხელ საღამოს 23:00 სთდან 05:00 სთმდე. მთლიანობაში 223ა მიწის ფართობის მოსარწყავად გვჭირდება 79.1 ტონა წყალი. აქედან ახალშენი ვენახის მოსარწყავად 5თვის განმავლობაში გვჭირდება 53.6 ტონა წყალი, ხოლო 17 ჰა ქერის მოსარწყავად გვჭირდება 25.5 ტონა წყალი, 173ა მოირწყება მხოლოდ ერთხელ მაისის თვეში. მთლიანობაში 79.1 ტონა წყალი.

პროექტი მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართით განსაზღვრული საქმიანობების ნუსხას, კერძოდ: პუნქტი 1.3. სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია. შესაბამისად საქმიანობა ექვემდებარება კოდექსის მე-7 მუხლით გაწერილ სკრინინგის პროცედურას და საჭიროა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სკრინინგის განაცხადის წარდგენა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა წინამდებარე ანგარიში, რომელიც წარმოადგენს სკრინინგის განაცხადის დანართს და შესაძლებლობისამებრ მაქსიმალურად ასახავს ინფორმაციას პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. მათ შორის ანგარიშში განხილულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი კრიტერიუმები, რის საფუძველზეც სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას გზმ-ს საჭიროებასთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო მარლოში და ძირითადად წარმოადგენს სახნავ-სათეს მიწებს, უახლოესი დასახლებული პუნქტი გვხვდება 6 კილომეტრში სოფ. კაზლარი. გასაშენებული ვენახის ფართობი შეადგენს 5 ჰა-ს, ხოლო გაშენებული ქერის ფართობი შეადგენს 173ა-ს. მოსარწყავად იგეგმება წვეთოვანი მორწყვის ქსელის მოწყობა ვენახისთვის, ხოლო ქერისთვის კვალში მორწყვით მორწყვა. სარწყავი სისტემა წყლით მომარაგდება მდინარე იორიდან ნაკვეთში გადის მდინარე იორი, ხოლო წყლის


რეზერვუარი დგას მდინარიდან 175,693მეტრით. წყლის მოხმარებული მოცულობა წელიწადში შეადგენს 79.1 ტონა წყალს.

ტექნოლოგიური პროცესის აღწერა


სარწყავი წყლის აღება ხდება მდინარე იორიდან, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ბორბალოსთან, ზღვის დონიდან 2600 მ სიმაღლეზე. ივრის სიგრძეა 320 კმ, აუზის ფართობი — 4650 კმ². წყლის საშუალო ხარჯი შესართავიდან 43 კმ-ში 12 მ³/წმ. საზრდოობს ძირითადად თოვლისა და წვიმის წყლებით. მდინარიდან წყალი 50 მმ მქონე დიამეტრის 175.693 მეტრი სიგრძის მილით ელექტრო ძრავის საშუალებით მიეწოდება შემკრებ რეზერვუარს. შემკრები ავზიდან წვეთოვანი სარწყავი სისტემის საშუალებით მოხდება მცენარეთათვის წყლის მიწოდება.




რუკაზე მითითებულია საწყისი წერტილი თუ საიდან უნდა მოხდეს წყლის ამოტუმბვა. მიახლოებითი ჯიპიეს კოორდინანტები : 41°31'19" N 45°38'23"E. რეზერვუარის მიახლოებითი კოორდინანტები: 41°30'49" N 45°38'19"E.




აღნიშნულ ნახაზში 1 წითელი წერტილი არის ქერის მიახლოებითი მდებარეობა ჯიპიეს კორდინანტებით: $41^{\circ}30'49''$ N $45^{\circ}38'21''$ E, ხოლო მეორე წითელი წერტილი მიახლოებით გაშენებული ვაზის ჯიპიეს კორდინანტები : $41^{\circ}30'44''$ N $45^{\circ}38'20''$ E.



აღნიშნულ ნახაზში საწყისი წერტილი არის რეზერვუარის ადგილმდებარეობა, საიდანაც დაეშვება 1.192კმ მილი, წყალი ჯერ ერთი განშტოებით წავა დათესილ ქერთან ხოლო მეორე განშტოებით წავა ვაზის ძირებთან






-წყლის სათავე

საიდანაც მოხდება წყლის ამოტუმბვა.

მიწის საკადასტრო გეგმა იხ. სურათი:



გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად:
სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი:

1. საქმიანობის მახასიათებლები:
 - საქმიანობის მასშტაბი;
 - არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
 - ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
 - ნარჩენების წარმოქმნა;
 - გარემოს დაბინძურება და ხმაური;
 - საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:
 - ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
 - შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
 - ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
 - დაცულ ტერიტორიებთან;
 - მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
 - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;
3. საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:
 - ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
 - ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა

ყველა ჩამოთვლილი საკითხი შეძლებისდაგვარად დეტალურად არის განხილული

საქმიანობის მასშტაბი

პროექტი ითვლისწინებს დაახლოებით მდინარიდან წყალი 50 მმ მქონე დიამეტრის 175.693 მეტრი სიგრძის მილსადენის გაყვანას შემკრებ რეზერვუარამდე და დაახლოებით 4000 მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობას შესაბამისად იგი შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი მასშტაბის საქმიანობა, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებას. რადგან აღნიშნული მილი იქნება მიწის ზემოდან განთავსებული არანაირი ზემოქმედება არ მოჰყვება ამ ღონისძიებას.

არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების რისკები

საპროექტო სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე ანალოგიური საქმიანობის მშენებლობა ექსპლუატაცია არ იგეგმება შესაბამისად რაიმე სახის კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, აქ აღსანიშნავია არსებული სამელიორაციო სისტემა, რომელიც სათავეს იღებს მდინარე ივრიდად და მოხდება სარწყავი წყლის აღება, საჭირო რაოდენობის წყლის აღება, რომელიც აღებული იქნება ისედაც მელიორაციისთვის განსაზღვრული წყლის წილიდან. განსახილველი პროექტი კუმულაციური ზემოქმედების მინიმალურ რისკებს უკავშირდება

ბუნებრივი რესურსების გამოყენება

საპროექტო სამელიორაციო სისტემის მოწყობა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენებას არ საჭიროებს. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს - მდინარიდან აღებული წყლის რაოდენობა ძალზედ მცირეა და პროექტი პრაქტიკულად ვერანაირ ზემოქმედებას ვერ იქონიებს რეგიონის ზედაპირული წყლის რესურსებზე. მილი განთავსებული იქნება მიწის ზემოდან მას არანაირი ზემოქმედების ძალა არ ექნება ბუნებზე.

ნარჩენები

საპროექტო სამელიორაციო სისტემის მოწყობას თან არ სდევს ნარჩენების წარმოქმნა და ამით გარემოს დაბინძურება.

გარემოს დაბინძურება და ხმაური

საპროექტო სამელიორაციო სისტემის მოწყობას თან არ სდევს გარემოს დაბინძურება, ხმაური იქნება მინიმალური რადგან ამოსატუმბი მოწყობილობა ძალიან პატარაა იმისათვის, რომ გამოიწვიოს ხმაური და ამით ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე ან მოსახლეობაზე, რადგან აღნიშნული სამუშაოების დროს ჩვენ არანაირ ზემოქმედებას არ ვახდენთ ბუნებაზე და შესაბამისად ამ ზემოქმედების არარსებობის გამო არც ხმაური იქნება დიდი მასშტაბის მქონე.

საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი

საპროექტო სამელიორაციო სისტემა მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურული ობიექტია და ზოგადად პროექტი მასშტაბურ ავარიას/კატასტროფას არ უკავშირდება. პროექტის განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები

საქმიანობის თავსებადობა ჭარბტენიან ტერიტორიასთან

საქმიანობის განხორციელების დერეფანი ჭარბტენიანი ტერიტორია, ამას ხედავთ საკადასტრო რუკაზე, რადგან ჩვენი ტერიტორია შეჭრილია ივრის აღკვეთილის ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენი საკუთრებაა და როგორც ვიცით სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საკუთრება გულისხმობს მის :მფლობელობას , სარგებლობას და განკარგვას მაშასადამე აღნიშნული ტერიტორიით ვსარგებლობთ, მაგრამ ეს სარგებლობა არ გამოიწვევს არანაირ ზიანს გარემოსადმი და რათქმუნდა ხე-მცენარეებისადმი, რომლებიც განთავსებულნი არიან ჩვენს ტერიტორიაზე.

საქმიანობის თავსებადობა შავი ზღვის სანაპირო ზოლთან

საპროექტო ტერიტორია დიდი მანძილით არის მოშორებული შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან და მასზე რაიმე უარყოფითი ზემოქმედება გამორიცხულია.

საქმიანობის თავსებადობა ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;

საპროექტო ნაგებობის მონაკვეთი ხე-მცენარეულობით დაფარულ ტერიტორიას გაივლის. ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიებზე

მოსალოდნელი არ არის, რადგან მილი გაივლის მიწის ზემოდან და ხე-მცენარეების დაზიანება ამას არ მოჰყვება, ვიმეორებთ აღნიშნული ტერიტორია ჩვენს საკუთრებაშია, მაგრამ არ მოხდება რაიმე სახით ზემოქმედება გარემოზე. როგორც იცით აღნიშნული ტერიტორიის მოსაზღვრედ არის ივრის აღკვეთილი მაგრამ მასზე არანაირი ზემოქმედების მოხდენას არ განვახორციელებთ. ასევე არის ყორულის აღკვეთილი, მაგრამ არის საკმაოდ დაშორებული და მასზე ზემოქმედების მოხდენა არის მინიმალური რისკის ტოლი. აღნიშნულ ტერიტორია განთავსებულია ივრის ჭალის ტყესთან სადაც ვხვდებით: ვერხვს;ტირიფს;ოფი;მურყანი;თუთა;ჭალის მუხა;ძეძვი; იალღუნი; ძეძვი;ასკილი;ფშატი; მაყვალი;ეკალიჭი,ურო;სვია;ღვედკეცი,ქართული ზამბახი;საკმლის ხე;ღვია;ეიხლერის ტიტა;წალის მუხა;ჯაგრცხილა და სხვამცენარეები. ასევე ძუზუმწოვრებიდან გვხვდებიან: გარეული ღორი;მგელი;(წავი -წითელ წიგნშია შესული);(ლელიანის კატა- წითელ წიგნშია შესული);შველი. ფრინველებიდან: ხოხობი;(დურაჯი წითელ წიგნშია შესული) ;კაკაბი;ფასკუნჯი;(ორბი-წითელ წიგნშია შესული);ტყის ბუ;ჩვეულებრივი კირკიტა. ქვეწარმავლებიდან: ხმელთაშუა ზრვის კუ; გიურზა.

საქმიანობის თავსებადობა დაცულ ტერიტორიებთან

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს გვხვდება დაცული ტერიტორია, კერძოდ ივრის და ყორულის აღკვეთილი, მაგრამ მათზე არანაირ ზემოქმედებას არ მოვახდენთ რადგან ჩვენს ტერიტორიაზე არის შემოჭრილი მდინარე ივრის ერთ-ერთი ტოტი, მაშასადამე ამ ორი აღკვეთილი ტერიტორიას არ ვეხებით.

საქმიანობის თავსებადობა მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან

საპროექტო სამელიორაციო სისტემა მოეწყობა დაუსახლებელ ტერიტორიაზე,მაგრამ უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფ.კაზლარი, რომელიც ნკმ-შია. ასეთ პირობებში დასახლებული პუნქტის მოსახლეობაზე სხვადასხვა სახის ზემოქმედების ალბათობა მინიმალურია.

საქმიანობის თავსებადობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა

პროექტის განხორციელების ზემოქმედების ზონაში რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ ხვდება და არც ლიტერატურული წყაროებით არის აღწერილი. შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:

ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი

საქმიანობის განხორციელების ადგილი დიდი მანძილით არის დაშორებული სახელმწიფო სასაზღვრო ზოლიდან. საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბების და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა

საპროექტო სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე ანალოგიური საქმიანობა არ იგეგმება. როგორც ჩვენთვის ცნობილია მიმდებარე ტერიტორიაზე ანუ ჩვენთან ახლოს ამგვარ საქმიანობას სხვა პირები არ ახორციელებენ. როგორც იცით მდინარე იორი შედგება 320კმისგან მაშასადამე ჩვენთვის ცნობილი ვერ იქნება ამხელა მანძილზე იყენებენ თუ არა სხვა პირები აღნიშნულ მდინარეს ეს არის სოფლის მეურნეობის და გარემოსდაცვის სამინისტროს კომპეტენცია. კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, მდინარე ივრიდან მოხდება ელექტრო საქაჩით წყლის რეზერვუარებში განაწილება, სარწყავი წყლის აღება საჭირო რაოდენობის წყლალი, რომელიც არ გადააჭარბებს მელიორაციისთვის განსაზღვრული წყლის წილს. განსახილველი პროექტი კუმულაციური ზემოქმედების მინიმალურ რისკებს უკავშირდება. შესაძლებელია ამ რაოდენობის წყალიც არ იქნეს გამოყენებული ეს დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე მოვა თუ არა ნალექი კახეთის რეგიონში, კერძოდ კახეთის რეგიონი,სიღნაღის რაიონი,სოფ.ქვემო მაღარო ივრის ტერიტორია.

პატივისცემით:

ლეილა ბაიდოშვილი

